საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 16 ოქტომბერი 2014 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/05

საჯარო სამართლისიურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-9 მუხლის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის დებულება და მოთხოვნები სასწავლო და სამეცნიერო გამოცემებისადმი, თანახმად № 1 და № 2 დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2014 წლის 16 ოქტომბრის № 05-01/05
გადაწყვეტილების დანართი № 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საგამომცემლო საქმიანობის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი), როგორც აკადემიური უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სარგებლობს საგამომცემლი საქმიანობის უფლებით.

1.2 საგამომცემლო საქმიანობისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტი წესდებით და წინამდებარე დებულებით.

1.3 საგამომცემლო საქმიანობის პრიორიტეტები შესაბამისობაშია მოყვანილი უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან.

1.4 უნივერსიტეტი გამოსცემს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, სახელოვნებო განათლების, კულტურის მართვის განხრით უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომებს, აგრეთვე, დოქტორანტთა და სტუდენტთა გამორჩეულ სამეცნიერო ნაშრომებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის, სახელოვნებო განათლებისა და სწავლების გაუმჯობესებას, კულტურის მეცნიერებების განვითარებას. უნივერსიტეტის აკადემიური გამოცემები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

1.5 უნივერსიტეტს უფლება აქვს სხვა სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით ცენტრებთან ერთად (მათ შორის საერთაშორისო) განახორციელოს ერთობლივი გამოცემები.

1.6 საგამომცემლო საქმიანობის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგამომცემლო საქმიანობის კოორდინატორ - რედაქტორი, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ძირითადი მიზნები და ამოცანები, რეგულარული გამოცემები

2.1 უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის მიზანია:
- სასწავლო, სამეცნიერო, მეთოდური, საცნობარო ლიტერატურის გამოცემით ხელი შეუწყოს სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნასა და სამეცნიერო - ლიტერატურული ბაზის გაუმჯობესებას;
- გაამდიდროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი, მიაწოდოს გამოცემული ლიტერატურა საქართველოსა და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებს და ამით გაზარდოს უნივერსიტეტი საგამომცემლო საქმიანობის ცნობადობა.

2.2 უნივერსიტეტს აქვს შემდეგი რეგულარული გამოცემები:
- უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებელთა ავტორობით სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, ქრესტომათია);
- უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული სერიით „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ქართულ ენაზე ინგლისური ანოტაციებით. კრებულში იბეჭდება უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო შრომები, აგრეთვე, უნივერსიტეტში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებები. სერიაზე პასუხისმგებელია საგამომცემლო საქმიანობის კოორდინატორი;

2.3 რეგულარული გამოცემის გარდა, ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით, შესაძლოა გამოიცეს საუნივერსიტეტო მიზნებიდან გამომდინარე და საგამომცემლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სასწავლო, სამეცნიერო, მეთოდური, საინფორმაციო და საცნობარო ლიტერატურა.

მუხლი 3. გამოცემის წესი

3.1.1 საუნივერსიტეტო საგამომცემლო გეგმა დგინდება ცალკეული მიმართულებების საგამომცემლო გეგმების კოორდინირებისა და საუნივერსიტეტო პრიორიტეტების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის საგამომცემლო გეგმას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3.1.2 ცალკეული მიმართულებების წლიური საგამომცემლო გეგმა (სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა), მასალის წარმოდგენის ვადებისა და გამოქვეყნების თანმიმდევრობის გათვალისწინებით, მტკიცდება მიმართულების სხდომაზე. დაგეგმილი სამეცნიერო სტატია არ უნდა იყოს გამოქვეყნებული სხვა ქართულენოვან კრებულში ან ჟურნალში.

3.1.2 ცალკეული მიმართულებების საგამომცემლო გეგმების (სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის) თავმოყრასა და ერთიან კოორდინირებაზე პასუხისმგებელია საგამომცემლო საქმის კოორდინატორი.

3.1.3 ერთიან საგამომცემლო გეგმაში დგინდება გამოცემის ვადები, ცალკეული მიმართულებების საგამომცემლო გეგმებით განსაზღვრული მასალის წარმოდგენის ვადებისა და გამოქვეყნების თანმიმდევრობის გათვალისწინებით.

გამოცემის ვადები განისაზღვრება მასალის მოცულობის, პუბლიკაციისთვის საჭირო სარედაქტორო სამუშაოსა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

3.2 უნივერსიტეტი გამოსცემს მხოლოდ რეცენზირებულ მასალებს.

3.2.1 სასწავლო ლიტერატურას უნდა ჰყავდეს ორი რეცენზენტი, რომელსაც გამოყოფს შესაბამისი მიმართულება. ერთ-ერთი რეცენზენტი შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებების ან გარეშე ექსპერტი.

3.2.2. სამეცნიერო ლიტერატურას/კრებულებს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე რეცენზენტი, რომელთაც წარმოადგენს შესაბამისი მიმართულებები. რეცენზენტი შესაძლებელია იყოს გარეშე სპეციალისტი.

3.2.3 რეცენზია განიხილება მიმართულების სხდომაზე. რეცენზიის განხილვის წესს ადგენს თვით მიმართულება.

3.2.4 მასალა ქვეყნდება დადებითი რეცენზიის შემთხვევაში. ორი ან მეტი რეცენზენტის შემთხვევაში, თუ ერთ–ერთი რეცენზია უარყოფითია, მასალა გადაეცემა დამატებით რეცენზირებაზე (სათანადო საფუძვლის შემთხვევაში ფარულ რეცენზირებაზე). რეცენზენტი/რეცენზენტები შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებების ან გარეშე ექსპერტი.

3.2.5 მიმართულებები უფლებამოსილნი არიან საჭიროებისამებრ დააწესონ წინასწარი ფარული რეცენზირების პროცედურაც, რაც არ აბათილებს საბოლოო რეცენზირებას (3.2.1, 3.2.2. 3.2.3 და 3.2.4 პუნქტები);

3.2.6 დოქტორანტების შემთხვევაში რეცენზირების წესს ადგენს, რეცენზენტს ამტკიცებს და რეცენზიას განიხილავს შესაბამისი მიმართულება;

3.2.7 ავტორს უფლება აქვთ გაეცნოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეცენზიის ასლებს, მათ შორის ფარული რეცენზიის ასლს რეცენზენტის გვარის მითითების გარეშე. ამავე ფორმით შესაძლებელია გაეცნოს დადებით რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებს მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით.

3.3. დადებითი რეცენზიისა და გამოქვეყნებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მასალა (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო ლიტერატურა) გადაეცემა მეცნიერ – რედაქტორს ან რედაქტორთა ჯგუფს, რომელსაც გამოყოფს შესაბამისი მიმართულება. მეცნიერ – რედაქტორთა ჯგუფის წევრი შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებების ან გარეშე სპეციალისტი.

3.4.1 მეცნიერ–რედაქტორის/რედაქტორთა ჯგუფის შენიშვნების გათვალისწინებით, დადებითი რეცენზიით/რეცენზიებით და გამოცემის შესახებ მიმართულების გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტაციით (შესატყვისი სხდომის ოქმის ამონაწერი) შემდგომი მსვლელობისთვის მასალა გადაეცემა საგამომცემლო საქმის კოორდინატორს.

3.4.2 გამოსაცემად ბარდება მხოლოდ ელექტრონული ვერსია პუბლიკაციისთვის დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით (პუბლიკაციისთვის საჭირო მოთხოვნები განსაზღვრულია დებულების დანართში №1).

3.5.1 . სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა უნივერსიტეტის გრიფით ავტორების თუ სპონსორების ხარჯზე, ან საგრანტო დაფინანსებით შეიძლება გამოიცეს მხოლოდ 3.2, 3.3, 3.4 პუნქტების აუცილებელი დაცვით. ასეთ შემთხვევაში, თუ გამოცემის პროცესზე პასუხისმგებლობას იღებს უნივერსიტეტი, ავტორთან ფორმდება ხელშეკრულება დადგენილი ფორმით, სადაც განისაზღვრება გამოცემის ფინანსური მხარე და გამოცემის ვადები ზოგადსაუნივერსიტეტო საგამომცემლო გეგმის გათვალისწინებით.

3.5.2 უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის გრიფით, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოიცეს გარეშე პირთა შესაბამისი პროფილის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა ავტორების ხარჯზე, ან საგრანტო დაფინანსებით 3.5.1 პუნქტის აუცილებელი დაცვით. გამონაკლისს წარმოადგენს გარეშე პირთა მოხსენებები წარმოდგენილი უნივერსიტეტში ჩატარებულ მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებზე (რესპუბლიკურ და საერთაშორისო), რომელთა კრებულებში გამოცემის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მხოლოდ 3.2, 3.3, 3.4 პუნქტები.

მუხლი 4. საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველყოფა. ფუნქციები.

4.1. საგამომცემლო საქმიანობის კურირებასა და კოორდინირებას ახორციელებს კოორდინატორ – რედაქტორი უნივერსიტეტის საგამომცემლო მიზნებიდან გამომდინარე.

4.1.1 საგამომცემლო საქმიანობის კოორდინატორ-რედაქტორი გამოცემის რედაქტორთან ერთად, ავტორთან და შესატყვისი მიმართულების მიერ გამოყოფილ მეცნიერ–რედაქტორთან რედაქტორთა ჯგუფთან თანამშრომლობით:

- ახორციელებს გამოსაცემი მასალის საბოლოო რედაქტირებას, ადგენს გამოცემის საცნობარო აპარატს და ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას;
- უზრუნველყოფს და აკონტროლებს გამოცემის სრულ პროცესს /კომპიუტერული მაკეტის დიზაინი, ტექნიკური რედაქტირება და კორექტურა, დასტამბვა;
- ანიჭებს ნაშრომს გამოცემის საერთაშორისო ნომრებს და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ურთიერთობს საგამომცემლო საერთაშორისო პრეფიქსების ეროვნულ ცენტრებთან;
- აწვდის გამოცემულ ლიტერატურას როგორც უნივერსიტეტის, ისე გარეშე ბიბლიოთეკებს;
- უზრუნველყოფს და აკონტროლებს საგამომცემლო ვებ გვერდის ფუნქციონირებას;
- აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

4.2 ლიტრედაქტორი ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობის კოორდინატორის მიერ გადაცემული მასალის ენობრივი უზუსტობების რედაქტირებას;

4.3 ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტირებას საჭიროებისამებრ ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტი, ან შესატყვისი პროფილის უნივერსიტეტის თანამშრომელი დამატებითი ანაზღაურებით;

4.4. წიგნის კომპიუტერული მაკეტის დამზადება ევალება ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ სპეციალისტს, ან შესატყვისი პროფილის უნივერსიტეტის თანამშრომელს დამატებითი ანაზღაურებით.

4.5. წიგნის დასტამბვას აწარმოებს უნივერსიტეტის სტამბა. დამატებითი სამუშაო, რომელსაც ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტამბა, ხორციელდება გარეშე საწარმოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

სწორია:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2014 წლის 16 ოქტომბრის № 05-01/05
გადაწყვეტილების დანართი № 2

მოთხოვნები სასწავლო და სამეცნიერო გამოცემებისადმი

1. მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომისადმი

• კრებულის „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ პროფილი აერთიანებს სახელოვნებო მეცნიერებებს: ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, კულტურის ისტორია და თეორია.

• სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა - არაუმეტეს 10 გვერდისა, გამოყენებული ლიტერატურის, საილუსტრაციო მასალისა და ინგლისური რეზიუმეს ჩათვლით. შრიფტი: AcadNusx, ზომა - 12, დაშორება - 1, 5.

• უცხოენოვან ავტორებს შეუძლიათ ნაშრომები წარმოადგინონ ინგლისურ ენაზე - ქართული ან რუსული რეზიუმეთი. ნაშრომის რუსულ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში - რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

• ლიტერატურის მითითების წესი: ტექსტში (ბერიძე, 1963:23); ტექსტის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით: 1. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება,1963.

• ავტორის სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა; სამუშაო ადგილი; კვლევის მიმართულება. საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.

2. მოთხოვნები სასწავლო და სამეცნიერო გამოცემებისადმი (სახელმძღვანელო, ლექციების კურსი და სხვ.) არის იგივე, გარდა გვერდების რაოდენობისა.

სწორია: